

საქართველო

.....
ს.ს.ი.პ აჭარის მ. კუხიანიძის სახელობის
სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო
აკადემიური ანსამბლი არსიანი



GEORGIA

.....
J.P.P.R. Adjarian M. Kukhianidze State
Academic Ensemble of Song and Dance
Arsiani

ქ. ბათუმი. მაიაკოვსკის ქ. №55
☎ 27-00-68; 25-38-82
www.adjarafolk.ge, ajarafolk21@gmail.com

Batumi, Maiakovski Str. # 55
☎ 27-00-68; 25-38-82
www.adjarafolk.ge, ajarafolk21@gmail.com

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №79

ქ. ბათუმი

2 დეკემბერი 2019 წელი

სსიპ აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო
აკადემიური ანსამბლის „არსიანი“-ს შინაგანაწესში ცვლილებების შეტანის შესახებ

„აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი
არსიანი“-ს დებულების მე-5 მუხლისა და შინაგანაწესის მე-3 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შევიდეს ცვლილება ანსამბლის დირექტორის 2013 წლის 26 აგვისტოს N59 ბრძანებით დამტკიცებულ ანსამბლის შინაგანაწესში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.
2. ბრძანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი არის საქმის მწარმოებელი, ადმინისტრატორი და იურისტი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (ქ. ბათუმი, ლ. გუდიაშვილის N4) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

მ.

ოთარ მიქელაძე

მუხლი 17. პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისათვის

17.1. დასაქმებული ვალდებულია ჯეროვნად შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები და შინაგანაწესით გათვალისწინებული პირობები.

17.2. შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში, დარღვევის ზომებისა ან/და სიხშირის გათვალისწინებით, დასაქმებული ისჯება ანსამბლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, შინაგანაწესის 17.3. პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური სანქციების შესაბამისად.

17.3. დისციპლინური სანქციებია:

ა) გაფრთხილება

ბ) საყვედური

გ) სასტიკი საყვედურიდ) სამსახურიდან დათხოვნა

17.4. დისციპლინური სანქციის სახით განსაკუთრებულ შემთხვევებში ანსამბლის დირექტორს შეუძლია შეზღუდოს დასაქმებულის დაშვება კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

17.5. დასაქმებული პასუხისმგებელია ანსამბლ „არსიანი“-ს საკუთრებაში არსებული ავეჯის, ინსტრუმენტების, სასცენო კოსტუმებისა და აქსესუარების, სხვა მატერიალური ფასეულობების სწორ და მიზნობრივ გამოყენებაზე. დასაქმებული ვალდებულია მის მიერ დაზიანებული/განადგურებული საქონელის ანაზღაურებაზე იმ მომენტისათვის არსებული საბაზრო ღირებულების შესაბამისად. თუ დასაქმებულის მიერ დროულად არ მოხდება მის მიერ დაზიანებული/განადგურებული საქონელის ანაზღაურება, გატარებული იქნება მკაცრი ზომები.

17.6. სანქციის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ჩადენილი დარღვევის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები, დასაქმებულის ადრინდელი მუშაობა და ყოფაცევა.

17.7. შრომის დისციპლინის დარღვევისას დასაქმებულის მიმართ დისციპლინური სანქციის გამოყენების საფუძველია დასაქმებულის წერილობითი ახსნა-განმარტება ან მისი უშუალო ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათი. დისციპლინურ სანქციას დასაქმებულს შეუფარდება ანსამბლის დირექტორი შესაბამისი ბრძანებით. დისციპლინური სანქცია დასაქმებულს უნდა შეეფარდოს არა უგვიანეს 1 თვისა მის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევის დღიდან.

17.8. დისციპლინური სანქციის მოქმედების პერიოდში არ ხორციელდება დასაქმებულის თანამდებობრივი დაწინაურება ან/და კატეგორიების შეცვლა, მისთვის შრომის ანაზღაურების გაზრდა.

17.9. თუ შემდგომი 1 წლის განმავლობაში დასაქმებულს არ დაედება ახალი დისციპლინური სანქცია, მას ავტომატურად მოეხსნება წინა დისციპლინური სანქცია და განისაზღვრება, რომ მის მიმართ არ გამოყენებულა დისციპლინური სანქცია.

17.10. დისციპლინური სანქცია შეიძლება მოხსნილ იქნეს ამ სანქციის მიღებიდან 1 წლის გავლამდე, დასაქმებულის უშუალო ხელმძღვანელის წარდგინებით ან/და ანსამბლის დირექტორის გადაწყვეტილებით, თუ დასაქმებულმა თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა და კეთილსინდისიერმა მუშაკმა.

დირექტორი

M. 

ოთარ მიქელაძე